იურიდიული დახმარების სამსახური

მის: დ. აღმაშენებლის გამზ. N140ა,
0112 თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 32 292 00 55
ელ-ფოსტა: council@legalaid.ge
ვებ-გვერდი: www.legalaid.ge

იურიდიული დახმარების საბჭო

№ 66 „30" „სექტემბერი" 2015 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„საჯარო სამართლის იურიდიული პირი – იურიდიული დახმარების სამსახურის მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატის ყოველთვიური ანგარიშგების წესისა და ფორმის დამტკიცების შესახებ"

„იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მე–11 მუხლის „ი" ქვეპუნქტის შესაბამისად,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. დამტკიცდეს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატის ყოველთვიური ანგარიშგების წესი და ფორმა დანართის შესაბამისად (დანართი N1, დანართი N2, დანართი N3, დანართი N4, დანართი N5);

2. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულმა ადვოკატმა დანართი N1 შეავსოს სრულყოფილად და საქმეში ჩართვიდან 10 დღის ვადაში წარუდგინოს ბიუროს უფროსს;

3. წარმოებაში არსებულ საქმეებთან დაკავშირებით მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატი საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში ბიუროს უფროსს წარუდგენს გასული თვის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის ანგარიშს (დანართი N2, დანართი N3), ხოლო მომდევნო 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში ბიუროს უფროსი გასული საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატების მიერ განხორციელებული საქმიანობის განზოგადებულ ანგარიშს (დანართი N4, დანართი N5) წარუდგენს სამსახურის დირექტორს;

4. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ ადვოკატთა საანგარიშო პერიოდად განისაზღვროს თვის პირველი რიცხვიდან მომდევნო თვის პირველ რიცხვამდე პერიოდი;

5. მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატის მიერ მე–2 პუნქტით დადგენილ ვადაში დანართი N1 წარუდგენლობის შემთხვევაში, ბიუროს უფროსი, მას დამატებით

განუსაზღვრავს 3 (სამ) სამუშაო დღეს. აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ ბიუროს უფროსი სამსახურებრივი ბარათით მიმართავს დირექტორს.

6. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

იურიდიული დახმარების საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ჩირიკაშვილი

თავმჯდომარის მოადგილე: თეა ჭეიშვილი

საბჭოს წევრები: რამაზ ჩინჩალაძე

სოფიო ჩაჩავა პავლე აბაიაძე

ზაზა ხარებავა ფატმან არზიკიანი

თამარ გვარამაძე ირაკლი გვარამაძე